საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-5/6691
09/07/2021

6691-15-5-2-202107091540

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბახტაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებული [redacted] უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმების არასრულყოფილად ჩატარების გამო დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მსჯავრდებულ [redacted] უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.[1] მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს მოსამსახურის მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებას,[2] რაც გამოიხატა შემდეგში:

---

[1] მასალები აპარატს წარედგინა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 17.05.2021 წ. N112976/01 წერილის დანართის სახით.

[2] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი: მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომაა სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N144 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი: მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის სახეა სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მონიტორინგის დეპარტამენტში განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები, რომელიც დაიწყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 3 აპრილის მიმართვის[3] საფუძველზე.

მსჯავრდებულ [redacted] განმარტებით, 2020 წლის 5 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოში ზეპირი მოსმენით განიხილებოდა მისი N8 პენიტენციური დაწესებულებიდან (დახურული ტიპი) N12 დაწესებულებაში (ნახევრად ღია ტიპი) გადაყვანის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების[4] დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი.

პატიმრის განცხადებით, მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ, 2 ბადრაგმა გაიყვანა სხდომის დარბაზიდან, 2-3 წუთი გააჩერა მოსაცდელ ოთახში, შემდეგ წაიყვანა სასამართლოს შენობის სარდაფში არსებული საკნებისკენ, გასცდნენ დარბაზებისა და დერეფნების ტერიტორიას და იმყოფებოდნენ კიბის უჯრედთან, სადაც დახვდა პენიტენციური სამსახურის იურისტი, რომელმაც მსჯავრდებულს უთხრა, რომ საჭირო არ იყო სასამართლოზე მისი (დაშტრიხულია ვინაობა) ხსენება, რადგან მაინც ვერაფერს უშველიდა; ასევე, ყველაფერზე საჩივრის წერა „კაცური საქციელი" არ იყო; პატიმრის N12 დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილებას სამსახური გაასაჩივრებდა სააპელაციო სასამართლოში, სადაც პატიმარი უნდა დათანხმებოდა სამსახურის სააპელაციო საჩივარს და უარი ეთქვა N12 დაწესებულებაში გადასვლაზე, თორემ შესაძლოა, „ბათუმის ციხეში"[5] აღმოჩენილიყო და „გლდანი[6] მოენატრებოდა". იურისტმა, ასევე, მიაძახა „ფუ, შენს კაცობას!". პატიმრის თქმით, ბადრაგები დადგნენ მოშორებით და მათი საუბრის შინაარსს ვერ გაიგებდნენ; ასევე, მისი დათვალიერებით, ხსენებულ ადგილას ვიდეო კამერები არ იყო. საუბარი გაგრძელდა დაახლოებით 5 წუთი, რის შემდეგაც ბადრაგმა ჩაიყვანა საკანში, ხოლო შემდეგ დააბრუნეს სხდომის დარბაზში, სადაც მოსამართლემ გამოაცხადა, რომ არ დააკმაყოფილა სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მოთხოვნა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების პროცესში 2020 წლის 8 და 15 აპრილს ახსნა-განმარტება ჩამოერთვა სისტემის 5 თანამშრომელს:

---

[3] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის NSIS82000005174 წერილი, რომელსაც ერთვოდა მსჯავრდებულ [redacted] 10.03.2020 წ. განცხადება და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის მიერ მსჯავრდებულთან 30.03.2020 წ. გასაუბრების ოქმი.

[4] თბილისის საქალაქო სასამართლოს 03.03.2020 წ. გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ [redacted] სარჩელი და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა მისი N12 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. 05.03.2020 წ. სასამართლოში განიხილებოდა მოცემული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე მსჯავრდებულის განცხადება.

[5] პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის N3 პენიტენციური დაწესებულება მდებარეობს ბათუმში.

[6] პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N8 პენიტენციური დაწესებულება მდებარეობს თბილისში, გლდანის რაიონში.

- ესკორტის 2 ოფიცრის განმარტებით, 2020 წლის 5 მარტს მსჯავრდებულ [redacted] თბილისის საქალაქო სასამართლოს N28 დარბაზში უტარდებოდა სხდომა და მსჯავრდებულს ბადრაგირებას უწევდნენ. სხდომაზე მოსამართლემ გამოაცხადა 5-წუთიანი შესვენება და მხარეებს შორის არასასურველი კონტაქტის თავიდან აცილების მიზნით, მსჯავრდებული გაიყვანეს დარბაზიდან, გააჩერეს დერეფანში 5 წუთით, სარდაფში განთავსებულ საკანში არ ჩაუყვანიათ, პატიმარი მარტო არ დაუტოვებიათ და მის გვერდით იმყოფებოდნენ, მსჯავრდებულს შესვენების დროს კონტაქტი არავისთან ჰქონია, იურისტს არ შეხვედრია არც დერეფანში და არც სარდაფისკენ მიმავალი გზის რომელიმე მონაკვეთში. პატიმრის დარბაზში შეყვანა და გაყვანა ხდება კარიდან, სადაც შესვლის უფლება აქვს მხოლოდ მოსამართლეს, მის თანაშემწეს და პატიმარს ბადრაგის თანხლებით;
- ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების სამმართველოს ქ. თბილისის პირველი განყოფილების უფროსის განმარტებით, 05.03.2020 წ. სასამართლოს დროებითი მოთავსების საკნიდან მსჯავრდებული სხდომის დარბაზში აიყვანეს ესკორტის ოფიცრებმა. რაიმე ინციდენტის დროს მისი თანამშრომლები და სასამართლოს მანდატურები აცნობებენ და ის მიმართავს სასამართლოს ვიდეო ჩანაწერის დაარქივების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში არანაირ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. როგორც მისთვის გახდა ცნობილი, მოსამართლის მიერ გამოცხადებული 5-წუთიანი შესვენების დროს მსჯავრდებული გაყვანილი იყო დერეფანში, მხარეებს შორის არასასურველი კონტაქტის აღმოფხვრის მიზნით. ხსენებულ დერეფანში არის ვიდეო კამერები, თუმცა როგორც მისთვისაა ცნობილი, არცერთი მათგანი ჩანაწერებს 3 კვირაზე მეტხანს არ ინახავს, ზოგ შემთხვევაში - არაუმეტეს 4 დღისა;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სასამართლოებში წარმომადგენლობის სამმართველოს სპეციალისტის და იმავე სამმართველოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თქმით, 05.03.2020 წ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, მსჯავრდებულ [redacted] საჩივრის განხილვის სხდომაზე წარმოადგენდნენ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს. მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ, ისინი დარბაზიდან არ გასულან, დარბაზში დარჩა სხდომის მდივანიც, ხოლო ბადრაგმა დარბაზიდან გაიყვანა მსჯავრდებული. ამასთან, მსჯავრდებულის მიერ მითითებულმა იურისტმა მოითხოვა მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელს სასამართლოდან გამოეთხოვა სხდომის დარბაზის ვიდეო ჩანაწერი სრულად და პროცესის დაწყებიდან შენობის დატოვებამდე შენობაში მისი გადაადგილების ამსახველი ვიდეო ჩანაწერი.

ამის შემდეგ, მონიტორინგის დეპარტამენტის თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დაცვის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 2020 წლის 4 მაისის მოხსენებითი ბარათის მიხედვით, სამსახურებრივი შემოწმებით არ გამოვლინდა მსჯავრდებულ [redacted] მიმართ დისციპლინური გადაცდომის და მსჯავრდებულის უფლებების დარღვევის ფაქტი და სამსახურებრივი შემოწმება დასრულდა.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.[7] პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების მიერ საჩივრის წარდგენის უფლების რეალიზაციისთვის საქართველოს პატიმრობის კოდექსიც ადგენს შესაბამის პროცედურულ წესებს,[8] მათ შორის, საჩივრის განხილვის შედეგების ადმინისტრაციული წესით სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას.[9] ამასთან, დაუშვებელია პატიმრის დასჯა საჩივრის შეტანის გამო.[10]

აღნიშნული პრინციპები შეესაბამება ევროპის საბჭოს ევროპული ციხის წესებით ნაკისრ ვალდებულებას ინსპექციასა და მონიტორინგთან დაკავშირებით - ციხეები მუდმივად უნდა იყვნენ ინსპექტირებული სახელმწიფო ორგანოს მიერ რათა შეფასდეს ციხის მართვა და ადმინისტრირება საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.[11]

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებით ასევე განსაზღვრულია ინსპექციის ჩატარება: პენიტენციურ დაწესებულებებში და სამსახურებში უნდა ტარდებოდეს რეგულარული ინსპექტირება კვალიფიციური და გამოცდილი ინსპექტორების მიერ, რომლებსაც დანიშნავს კომპეტენტური ხელისუფლება. ინსპექტორები ვალდებულნი არიან დარწმუნდნენ იმაში, რომ პატიმრობის ადგილების მართვა ხორციელდება არსებული კანონებისა და განაწესების შესაბამისად, და რომ ციხის მუშაობა შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც დასმულია პენიტენციურ დაწესებულებათა წინაშე.[12]

ამდენად, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებულია პატიმრის უფლება პენიტენციური დაწესებულების/სამსახურის წინააღმდეგ საჩივრით მიმართოს სასამართლოს და საჩივრის განხილვის პროცესში დაცული იყოს ზემოქმედებისგან და უზრუნველყოფილი იყოს ნების თავისუფლად გამოხატვა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურეების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის, მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობებისა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა

---

[7] 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[8] საქართველოს პატიმრობის კოდექსის თავი მე-16 თავი - „მოთხოვნისა და საჩივრის განხილვის პროცედურები".

[9] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 107-ე მუხლი.

[10] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 108-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[11] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე). მე-6 ნაწილი, პუნქტი 92.

[12] მიღებულ იქნა 1955 წელს ჟენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრღვევებთან მოპყრობას, დამტკიცებულ იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით. წესი 55.

შესრულების, სამსახურში სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლს, შემოწმებასა და სისტემურ მონიტორინგს ახორციელებს სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი.[13]

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამოქალაქო დანაყოფს მიეკუთვნება სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი - მონიტორინგის დეპარტამენტი,[14] რომლის ამოცანებია: მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულების კონტროლი და დარღვევებზე რეაგირება; სამსახურის გამგებლობის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლი და დარღვევებზე რეაგირება; სამსახურსა და პენიტენციურ დაწესებულებებში ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა და მათზე რეაგირება.[15]

რაც შეეხება უშუალოდ სამსახურებრივი შემოწმების წესს, შესაბამისი პირი უფლებამოსილია: სისტემის მოსამსახურისაგან - მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ასევე, გამოიძახოს მოსამსახურე და მიიღოს მისგან ახსნა-განმარტება (მოსამსახურე ვალდებულია გამოცხადდეს)[16]; ხოლო იმ პირებს, ვინც არ არინ სისტემის მოსამსახურეები - გაესაუბროს მხოლოდ ნებაყოფლობით საწყისებზე.[17] გამოსაკითხ პირს იძახებენ უწყებით, ტელეფონით ან კომუნიკაციის სხვა ტექნიკური საშუალებით.[18]

გარდა ამისა, შემოწმების ჩატარებისას შესაძლებელია სხვა ადმინისტრაციული ორგანოს დახმარებით სარგებლობა კანონით დადგენილი წესით.[19] ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნით, თუ დოკუმენტები ან სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად, იმყოფება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში,[20] რომლიც ვალდებულია კომპეტენციის ფარგლებში და მის ხელთ არსებული საშუალებებით აღმოუჩინოს აუცილებელი სამართლებრივი დახმარება წერილობითი თხოვნის საფუძველზე,[21] ხოლო თუ უარს აცხადებს - ვალდებულია 3 დღის ვადაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ.[22]

---

[13] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი. მსგავსია საქართველოს პატიმრობის კოდექსის 31-ე მუხლით დადგენილი რეგულაცია.

[14] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 22 დეკემბრის N366 ბრძანების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

[15] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 22 დეკემბრის N366 ბრძანების მე-12 მუხლის მე-10 პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტები.

[16] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანების 21-ე მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები (ვინაიდან ყოფილი გენერალურ ინსპექციის ფუნქციებს ამჟამად მონიტორინგის დეპარტამენტი ასრულებს, ხოლო თავად მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობა არ არის რეგულირებული ახალი ნორმატიული აქტით, ვხელმძღვანელობთ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 მოქმედი ბრძანებით).

[17] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანების 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტი.

[18] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანების 23[1] მუხლი.

[19] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანების 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტი.

[20] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-17 მუხლის „გ" ქვეპუნქტი.

[21] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი.

[22] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი.

სასამართლო პროცესის აუდიო-ვიდეოჩაწერა სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, რომელმაც მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს აუდიო-ვიდეოჩანაწერის მხარეებისთვის ხელმისაწვდომობა (სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შემთხვევაში მხარეების ჩანაწერის გაუმჟღავნებლობის ხელწერილით).[23] საგულისხმოა, რომ აღნიშნული რეგულაცია ეხება სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ამსახველ ვიდეო-აუდიო ჩაწერას და ჩანაწერის მხარეებისთვის გადაცემას. გარდა ამისა, სასამართლოს შენობაში, მათ შორის, გარე პერიმეტრზე, დერეფნებში, დარბაზებსა და სხვა ადგილებში დამონტაჟებულია ვიდეო კამერები, რომელთა ჩანაწერების მოპოვება შესაძლებელია სამსახურებრივი შემოწმების შედეგად სასამართლოსთვის წერილობითი მიმართვის გზით.

სამსახურებრივი შემოწმების შედეგად: სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში დგება შესაბამისი დასკვნა;[24] ხოლო სათანადო საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში, მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, გენერალური ინსპექციის უფროსის გადაწყვეტილებით სრულდება სამსახურებრივი შემოწმება.[25] მოხსენებითი ბარათი უნდა იყოს დასაბუთებული. მას ხელს აწერს მისი შემდგენი და შემოწმების ჩატარებაში უშუალოდ მონაწილე თანამშრომელი, შიდა სტრუქტურული ერთეულის უფროსი და გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება გენერალური ინსპექციის უფროსს.[26]

წინამდებარე შემთხვევის ანალიზი

პენიტენციური სისტემის მოსამსახურის მხრიდან ჩადენილი შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება და ფაქტის მიუკერძოებლად, სრულყოფილად და გონივრულ ვადაში შესწავლა ემსახურება კანონიერების პრინციპის დამკვიდრებას, მიმართულია თვითნებობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.

წლების განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს პატიმართა მიმართ პენიტენციური სისტემის წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებული უფლებადარღვევის ფაქტებზე ობიექტური და ეფექტიანი რეაგირების მონიტორინგი წარმოადგენს. საქართველოს სახალხო დამცველი სპეციალურ ანგარიშშიც მიუთითებდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის (სამართალმემკვიდრე - სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი) მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების პროცესში არსებული ხარვეზების შესახებ, მათ შორის, საქმეებში ნეიტრალური მტკიცებულებების

---

[23] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 13[1] მუხლის პირველი პუნქტი.

[24] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[25] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[26] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

პრაქტიკულად არარსებობის და შესაძლო დამატებითი მტკიცებულებების მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში მოპოვებაზე.[27]

არსებული პრაქტიკის მსგავსად, მოცემულ საქმეშიც, ერთი მხრივ, არსებობდა უფლების დარღვევის შესახებ პატიმრის მითითება და მეორე მხრივ, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეების განმარტება. ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების პროცესში კი არ ყოფილა მოპოვებული მთავარი - ნეიტრალური მტკიცებულებები. შემოწმება დასრულდა და დაეყრდნო მხოლოდ ერთი უწყების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების ინფორმაციას, რომლის საფუძველზე მონიტორინგის დეპარტამენტმა დაადგინა, რომ პატიმრის უფლების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

სამსახურებრივი შემოწმება უნდა ჩატარებულიყო სრულყოფილად, რაც გულისხმობს აუცილებელი, საჭირო და ყველა შესაძლო მტკიცებულების მოპოვებას, მათ შორის, ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვებას.

სამსახურებრივი შემოწმების პროცესში თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის დერეფნისა და პატიმრის მითითებული ადგილის, ასევე, სხდომის დარბაზის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე პერიოდის (მოსამართლის სათათბიროდ გასვლიდან დაბრუნებამდე) ამსახველი ვიდეო ჩანაწერები არათუ არ მოპოვებულა, არამედ მათი მოპოვების მცდელობაც არ ყოფილა.

საგულისხმოა, რომ პატიმრის მტკიცებით, იურისტთან საუბრის ადგილას მან ვიდეო კამერები ვერ შენიშნა, თუმცა ესკორტირების სამმართველოს წარმომადგენლის განმარტებით, დერეფანში (სადაც პატიმარი შესვენებისას გაიყვანეს) კამერები იყო, რომლის ჩანაწერები 3 კვირით (ზოგ შემთხვევაში - 4 დღით) ინახება.

პატიმარი უფლებადარღვევის სავარაუდო ფაქტის თარიღად მიუთითებდა 2020 წლის 5 მარტს. აღნიშნული ინფორმაცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მონიტორინგის დეპარტამენტში 3 აპრილს გააგზავნა. შესაბამისად, სავარაუდო ფაქტიდან შემოწმების დაწყების დროისთვის 29 დღე იყო გასული და არა ხანგრძლივი პერიოდი, რომ ჩანაწერების მოპოვების მცდელობა აზრს მოკლებულად მიჩნეულიყო. მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელი ყოველგვარი არგუმენტის გარეშე დაეყრდნო პენიტენციური სისტემის მოსამსახურის - ესკორტირების სამმართველოს განყოფილების უფროსის განმარტებას სხვა უწყებაში - სასამართლოს შენობაში ვიდეო ჩანაწერების შენახვის ვადის თაობაზე. ამასთან, პენიტენციური სისტემის იურისტები განმარტავდნენ, რომ შესვენების დროს სხდომის დარბაზი არ დაუტოვებიათ. მიუხედავად ამისა, შემოწმების პროცესში, ასევე, არ გარკვეულა სხდომის დარბაზში არსებული ვიდეო კამერების ჩანაწერების არსებობა, მათი შენახვის ვადა და მოპოვების შესაძლებლობა.

---

[27] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ", ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112142123160.pdf> [ბოლოს ნანახია: 28.06.2021].

მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ვიდეო ჩანაწერების არსებობის გარკვევის ერთადერთი გზა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის წერილობითი მიმართვა იყო შემდეგი შეკითხვებით: დამონტაჟებული იყო თუ არა მსჯავრდებულის მითითებულ ადგილას და N28 სხდომის დარბაზში ვიდეო კამერები, რა ვადით ინახებოდა ჩანაწერები და მათი არსებობის შემთხვევაში, მოეთხოვა ვიდეო ჩანაწერების ასლები. საგულისხმოა, რომ სამსახურებრივი შემოწმების ჩამტარებელ პირს არ მიუმართავს სასამართლოსთვის და შესაბამისად, საქმეში სასამართლოდან მიღებული ინფორმაცია ვიდეო ჩანაწერების არსებობის, წაშლის, შენახვის ვადის, გადაცემაზე თანხმობის, უარის ან გადაცემის შეუძლებლობის შესახებ არ ფიქსირდება.

გარდა ამისა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის იურისტები აცხადებენ, რომ მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლის და შესაბამისად, პატიმრის დარბაზიდან გაყვანის შემდეგ სხდომის დარბაზი არ დაუტოვებიათ და დარბაზში იმყოფებოდა სხდომის მდივანიც. მართალია, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში ახსნა-განმარტების ვალდებულება მხოლოდ პენიტენციური სისტემის მოსამსახურეებს აქვთ, თუმცა შესაძლებელი იყო სხვა, დამოუკიდებელი უწყების თანამშრომელთან - სასამართლოს სხდომის მდივანთან გასაუბრება, თუ ნებაყოფლობით დათანხმდებოდა ინფორმაციის მიწოდებას. საკითხის გასარკვევად დაადასტურებდა თუ უარყოფდა სხდომის მდივანი პენიტენციური სისტემის იურისტების განმარტებას, მონიტორინგის დეპარტამენტს არც მდივანთან გასაუბრების ოქმი შეუდგენია და საქმეში მასთან გასაუბრების მცდელობის დამადასტურებელი გამოძახების უწყება ან შეტყობინებაც არ მოიპოვება.

ამასთან, პატიმრის განცხადების საწინააღმდეგოდ, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში მხოლოდ პენიტენციური სისტემის თანამშრომლების განმარტებების უკრიტიკოდ გაზიარებით და სარწმუნოდ მიჩნევით, ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების მცდელობის გარეშე, მსჯავრდებულის უფლებადარღვევის ფაქტის არასებობის თაობაზე მონიტორინგის დეპარტამენტის მოსამსახურის შედგენილი მოხსენებითი ბარათი დაუსაბუთებელია.

დასკვნა

ამდენად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მოსამსახურემ მსჯავრდებულ [redacted] უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე არ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება სრულყოფილად, კერძოდ, ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების მიზნით არ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს რელევანტური ვიდეო ჩანაწერების არსებობის, მათი შენახვის ვადის და ასლების გადაცემის თაობაზე; ასევე, არ ჰქონია სასამართლოს სხდომის მდივანთან გასაუბრების მცდელობა (არ გამოუძახებია ნებაყოფლობით საწყისებზე) და მხოლოდ დაინტერესებული უწყების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ახსნა-განმარტების საფუძველზე, პატიმრის საჩივარზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის გარეშე დაასრულა სამსახურებრივი შემოწმება დაუსაბუთებელი მოხსენებითი ბარათით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური საქმისწარმოება სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მოსამსახურის მიერ მსჯავრდებულ [redacted] უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმების არასრულყოფილად ჩატარების ფაქტზე და მიიღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება, ვინაიდან მან ჩაიდინა „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N144 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა - სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი